

საქართველოს მეფუტყრეთა გაერთიანება



GEORGIAN BEEKEEPERS UNION

ფუტყრის დაავადება

აკარაკიძეოზი


დაავადების გამომწვევია ტრაქეალური ტკიპა *Acarapis Woodi*. ტკიპები ცხოვრობენ და მრავლდებიან ფუტკრის სასუნთქ ტრაქეებში, იჭრებიან მასში და ჰაერის ბალიშებში, არღვევენ ტრაქეის კედლებს და წოვენ ჰემოლიმფას (ფუტკრის სისხლი). ფუტკრები სუსტდებიან, უზიანდებათ მკერდის კუნთები, ვერ თბებიან და გაზაფხულისთვის იღუპებიან. ტკიპას ასევე ვხვდებით მამალ და ღედა ფუტკარში. მღელრი ტკიპა დებს 5-7 კვერცხს ტრაქეის კედლებზე, საიდანაც იჩეკება ბარტყი, რომელიც 11-15 დღეში მოზრდილ ტკიპად ვითარდება. ტკიპები პარაზიტობენ ახალგაზრდა, 2 კვირამდე ასაკის, ფუტკრების ტრაქეებში, სადაც ასეულობით ტკიპას შეუძლია დასახლდეს, რაც ფუტკრის სიცოცხლისუნარიანობის შემცირებას იწვევს. *Acarapis woodi*-ს სიგრძე 0,175 მმ-ია. მათი დანახვა შესაძლებელია მიკროსკოპით.

ფუტკრის ოჯახის ტრაქეალური ტკიპით დიდი დატვირთვა იწვევს:

- ჩარჩოზე ბარტყის რაოდენობის შემცირებას;
- ზამთარში გუნდის შემცირებას;
- საკვების დიდ დანახარჯებს;
- პროდუქტიულობის შემცირებას;
- საბოლოოდ ფუტკრის ოჯახის დაღუპვას.



ტრაქეალური ტკიპა
Acarapis woodi



ტკიპა ფუტკრის ტრაქეაში


დაავადებისათვის დამახასიათებელი სიმპტომები:

- მიწაზე მბობლავი ფუტკრები
- გაფარჩხული ფრთები
- ოჯახში ფუტკრების რაოდენობის შემცირება

დაავადების დასადგენად საჭიროა ფუტკრის ტრაქეების დათვალიერება, შესამჩნევია გამადიდებელი ლუპითაც.

პროფილაქტიკური ღონისძიებები:

- კარგი საწარმოო პრაქტიკა, რაც მოიცავს: საფუტკრის განთავსებას სუფთა გარემოში, მის მოვლას, შესაბამისი ხელსაწყოების გამოყენებას, მეფუტკრის ქცევას, ჰიგიენას და ა.შ.;
- სანამ ოჯახებს გააერთიანებთ, დარწმუნდით, რომ დაავადების ნიშნების მატარებელი არ არიან;



სუფთა თეთრი ტრაქეები, დაავადების ნიშნები არ ჩანს



ტრაქეა შავი ლაქებით, შავ ლაქებს ტრაქეალური ტკიპები ქმნიან

მკურნალობა:

- ქიანჭველმუავის გამოყენება;
- ეთერზეთების შემცველი პრეპარატები, რომლებიც გამოირჩევიან აკარაციდული თვისებებით

ქიანჭველმუავის ხსნარის მომზადება: 400 მლ ქიანჭველმუავას (86%) ვუმატებთ 200 მლ წყალს და ვღებულობთ 600 მლ (60-65%) ხსნარს, რაც საკმარისია 20 ოჯახისთვის (ერთ ოჯახზე 30 მლ-ის გათვალისწინებით).

გამოყენების ინსტრუქცია: ფუტკრის ერთი ოჯახისთვის ვასველებთ ხელსახოცს 30 მლ. ხსნარით, ვათავსებთ ელვა-შესაკრავიან პარკში, რომელიც ჩარჩოების მხრიდან დასერილია საკანცელარიო დანით.



გაითვალისწინეთ!

ხსნარმა შეიძლება ასაკოვანი ღედები მოკლას, ამიტომ ქიანჭველმუავის გამოყენება უმჯობესია ადრე გაზაფხულზე, როცა შესაძლებელია ახალი ღედის გამოყვანა. ასევე გასაკონტროლებელია აორთქლება, გარემოს მაღალ ტემპერატურაზე, 27°C-ს ზემოთ, არაა მიზანშეწონილი ქიანჭველმუავის გამოყენება საფუტკრეში. შეგვიძლია გამოვიყენოთ თაფლის დანურვის შემდეგაც, მუშაობს 3-4 დღის განმავლობაში.

ღამისდი ზადგანილია ავასანდი კაპავას მიერ.

საქართველოს მეფუძვრათა გაერთიანება



GEORGIAN BEEKEEPERS UNION

თბილისი, დიდუბის რაიონი,
აკ. წერეთლის გამზირი, N142
+995 599 99 87 98 / geobeekeepers@gmail.com
WWW.GEOBEEKEEPERS.GE
WWW.FACEBOOK.COM/GEOBEEKEEPERS.GE